იანვარი 2018

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

CLIL ტრენინგი-საინტერესო გამოცდილება "ევროპული სკოლის" მასწავლებლებისთვის

CLIL (Content and Language Integrated Learning) ტრენინგი საკმაოდ დატვირთული, შედეგიანი და შესაბამისად, ახალი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა იყო „ევროპული სკოლის“ პედაგოგებისათვის.

ტრენინგზე შემოგვთავაზეს ინგლისურად სხვადასხვა დისციპლინის სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და გზები.

ამ ტრენინგის მთავარი მიზანია, რომ საგნის მასწავლებლებმა თავიანთ გაკვეთილებზე შინაარსობრივი მასალის გადაცემის გარდა, შეძლონ, მოსწავლეებს შეასწავლონ ის უცხო ენაც, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება(ჩვენს შემთხვევაში-ინგლისური ენა).

მე მეთოდოლოგიის ბევრ ისეთ სიახლეს გავეცანი, რომელიც საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ჩემთვის და ვაპირებ ამ ტექნიკისა და სწავლების ფორმის დანერგვას ჩემს გაკვეთილებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიახლე ჩემი მოსწავლეებისთვისაც სახალისო და მისაღები იქნება.

ტრენინგში მონაწილეობამ მომცა საუკეთესო შესაძლებლობა, გავცნობოდი კოლეგების სწავლების მეთოდებსა და მათ მრავალფეროვან ხედვას უცხო ენაზე სხვადასხვა საგნის სწავლების საკითხებზე.

ანა ჩახნაშვილი - ფსიქოლოგიის მასწავლებელი

შეხვედრა ქალაქ ბერლინის ბრანდენბურგის საერთაშორისო სკოლაში

მიმდინარე წლის 9 იანვარს მე და ჩემი მოსწავლეები: ალექსანდრე, ნინო და გვანცა გიგლემიანები, სტუმრად ვიყავით 1990 წელს დაარსებულ ბერლინის საერთაშორისო სკოლაში, რომელიც IB პროგრამებს ახორციელებს. სკოლაში 67 ეროვნების 700 მოსწავლე სწავლობს. მოსწავლეთა კონტინგენტი ძირითადად შედგება დიპლომატიურ კორპუსში მომუშავე პირთა შვილებისაგან. აქ ასწავლიან შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული მასწავლებლები ამერიკიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

სკოლის დირექტორთან შეხვედრისას განვიხილეთ BBIS-სა და "ევროპული სკოლის" სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, ვისაუბრეთ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების განხორციელების გზებზე.

პარტნიორობის პერსპექტივა ძალზე მიმზიდველია და უმოკლეს დროში ჩვენ ველოდებით ახალ შემოთავაზებას და წინადადებებს ბერლინის საერთაშორისო სკოლიდან.

ნინო ფალავანდიშვილი - გერმანული ენის მასწავლებელი

CIS MEMBER

ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
მეილი: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

შეცვალე სამყარო!

ქველმოქმედება ეს არის სიკეთე, ჩადენილი საზღაურის გარეშე. არ აქვს მნიშვნელობა, ვის და როგორ ეხმარები.

2017 წლის დეკემბერში, "ევროპული სკოლის" მოსწავლეებმა ჩაატარეს საქველმოქმედო საღამო, რომელზეც მათ გაყიდეს საკუთარი ხელით დამზადებული ნივთები. საღამოზე შეგროვილმა თანხამ 3000 ლარზე მეტი შეადგინა, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაეცა.

ბავშვების მზრუნველობამ ბევრი გაჭირვებული ოჯახის ახალი წელი უფრო მხიარული და ბედნიერი გახადა. ამ აქციის ფარგლებში "ევროპული სკოლის" პარლამენტის თავმჯდომარე სოფო ნონიკაშვილი ესტუმრა დღის ცენტრს და "ევროპული სკოლის" მოსწავლეთა სახელით ზამთრის ფეხსაცმელები მიუტანა ბავშვებს. შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ერთი ასეთი საღამო ვერ გადაჭრის მიუსაფრობისა და სიღარიბის პრობლემებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი საღამოები უბრუნებს ადამიანებს სიკეთის რწმენას.

მოდით, ყველამ ერთად მართლაც შევცვალოთ სამყარო!

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა პროექტების პრეზენტაცია

2017 წლის 23-24 დეკემბერს ბორჯომის სასტუმრო "რიქსოსში" შედგა "ევროპული სკოლის" მე-11 კლასის მოსწავლეთა პროექტების პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ამერიკული უმაღლესი სკოლის დეკანი ნ. თევზაძე და რამდენიმე პედაგოგი. მოსწავლეებმა წარადგინეს საინტერესო პროექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ მიერ შერჩეული თემების მრავალფეროვნება. მაგ: „Evolution of Advertisement“, “The Unstoppable March of Time”, “Tales of Music and the Brain”, „Turning Point Battles for WW2.” და სხვ.

მოსწავლეები შეფასდნენ საპრეზენტაციო საკითხის სიღრმისეულ ცოდნაში, კვლევით უნარებსა და ვერბალურ კომუნიკაციაში.

რთული, 5 საათიანი სამუშაო განრიგის მიუხედავად, მოსწავლეებმა და მათმა პედაგოგებმა საღამო მხიარულ, უშუალო გარემოში გაატარეს ტკბილი სუფრის გარშემო.

ნანა მუქერია - ინგლისური ენის მასწავლებელი